

ქართული ენა და  
ლიტერატურა

1. რატომ სურდა სპარსეთიდან დაბრუნებულ ვარსკენ პიტიახშს, წინ მიგებებოდნენ აზნაურები, შვილები, მსახურები?

ა) უნდოდა, რომ ამაყად, მედიდურად დაბრუნებლიყო თავის სამფლობელოში.

ბ) უნდოდა, რომ თავმდაბლურად, მოკრძალებულად დაბრუნებლიყო თავის სამფლობელოში.

გ) უნდოდა, რომ ძლევამოსილი მეომარით დაბრუნებლიყო თავის სამფლობელოში.

დ) უნდოდა, რომ ხალხის ერთგულივით დაბრუნებლიყო თავის სამფლობელოში.

2. რატომ შეიკავა თავი გრიგოლ ხანძთელმა თავი ეპისკოპოსად კურთხევისაგან?

- ა) ამქვეყნიური პატივის მიღწევა სურდა.
- ბ) ამქვეყნიურ პატივს თავს არიდებდა.
- გ) საერო საქმეებზე უნდა ეზრუნა.
- დ) ქვეყნის გაერთიანებისთვის უნდა ებრძოლა.

3. ყურადღებით წაიკითხეთ სტრიქონები „ვეფხისტყაოსნიდან“:

„არა ვიქმ, ცოდნა რას მარგებს ფილოსოფოსთა ბრძნობისა?!

მით ვისწავლებით, მოგვეცეს შერთვა ზესთ მწყობრთა წყობისა“.

ავთანდილის აზრით, რა არის სწავლის მიზანი?

- ა) ანტიკური ფილოსოფიის გააზრება.
- ბ) ასტროლოგიური ცოდნის გაზიარება.
- გ) სამყაროს წესრიგთან შერწყმა.
- დ) ღვთაებრივი სამართლის დამკვიდრება.

4. ყურადღებით წაიკითხეთ სტრიქონები დავით გურამიშვილის წიგნიდან „დავითიანი“:

„ჩემის უცებით შევატყევე, ბრიყვთათვის რაც შემიტყვია:

ავი და კარგი, გარჩევით ვხედავ, რომ ახლოს მიწყვია.

მინდა და სწავლის სიმოკლით ცალ-ცალკე ვერ გამიყვია...“

რა არის ამ მონაკვეთის მთავარი სათქმელი?

- ა) ადამიანს ავ-კარგის გარჩევა უჭირს.
- ბ) ავი და კარგი ერთმანეთს ჰგავს.
- გ) ავის და კარგის მორიგება შეუძლებელია.
- დ) უცოდინარს ავ-კარგის გარჩევა უჭირს.

5. გაიხსენეთ ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსი „მერანი“.

რატომ მიიჩნევს ლირიკული გმირი, რომ „განწირულის სულისკვეთება“ ამაოდ არ ჩაივლის?

- ა) ლირიკული გმირის ბრძოლა სახელმწიფოებრიობის განმტკიცებას შეუწყობს ხელს.
- ბ) ლირიკული გმირის თავგანწირული ქროლვა სამშობლოს მტრებს შეაშინებს.
- გ) ლირიკული გმირის გაკვალული გზა სხვებს სიძნელეებს გაუადვილებს.
- დ) ლირიკული გმირის სულისკვეთება თანამემამულეებში რელიგიურ გრძნობებს გააძლიერებს.

6. რას ნიშნავს სიტყვათა მყარი შეხამება - წყლიდან მშრალი გამოვიდა?

- ა) თავი არავის დააჩაგვრინა.
- ბ) თავი მოხერხებულად დაიძვრინა.
- გ) თავისი უპირატესობა დაამტკიცა.
- დ) თავისი პოზიცია დაიცვა.

7. ჩამოთვლილთაგან რომელი წინადადება არის ქართულისათვის ბუნებრივი?

- ა) წიგნების გამოფენაზე ყველა გამომცემლობას თავისი ადგილი ჰქონდა მიჩენილი.
- ბ) არასამთავრობო ორგანიზაციამ საზოგადოებრივი აზრის შესწავლა მოახდინა.
- გ) პედაგოგთა უმეტესობა ახალგაზრდების სწავლებას უსასყიდლოდ ახდენდა.
- დ) ძველად ხშირად ჰქონდა ადგილი ტივზე მეჯლისებისა და ქორწილების გამართვას.



8. რომელ წინადადებაში არ არის შეცდომა?

- ა) ამგვარი შეტაკებების შესახებ დრო-და-დრო იტყობინებოდნენ.
- ბ) ბერიკაცმა ჯერ დაფნები გასხლა, მერე ბალახ-ბულახი ამოთხარა.
- გ) ეს ყოველივე ბატონ-ყმური ურთიერთობების გაუქმებას მოჰყვა.
- დ) წვიმების გამო გზებზე ალაგ-ალაგ მოზრდილი ორმოები გაჩნდა.

9. წინადადების რომელი წევრია ხაზგასმული სიტყვა?  
ზამთრობით მგელი ესტუმრება ხოლმე ხმელ წიფელს.
- ა) ადგილის გარემოება.
  - ბ) დროის გარემოება.
  - გ) ვითარების გარემოება.
  - დ) მიზნის გარემოება.

**10. რომელ წინადადებაშია სინტაქსური შეცდომა?**

- ა) ამ კუნძულზე ცხოვრობს უჩვეულო ჩიტი, რომელიც სხვაგან არ გვხვდება.
- ბ) მწვერვალებზე ხარობენ მცენარეები, რომლებიც საუკეთესოდ ეგუებიან სიცივეს.
- გ) უეცრად გამოჩნდნენ გიგანტური რვაფეხები, რომლებიც მანამდე არასოდეს გვენახა.
- დ) ქანდაკება აღმოჩნდა ხრამის ხეობაში, რომელიც მეორე საუკუნით თარიღდება.

11. გაიხსენეთ ილია ჭავჭავაძის ლექსი „ბედნიერი ერი“.

რომელი მხატვრული საშუალებაა გამოყენებული ამ ნაწარმოებში?

ა) იუმორი.

ბ) სატირა.

გ) გაპიროვნება.

დ) ალიტერაცია.

12. გაიხსენეთ ვაჟა-ფშაველას წერილი „კოსმოპოლიტიზმი და პატრიოტიზმი“.  
რა არის ამ ნაწარმოების ძირითადი თემა?

- ა) საკაცობრიო და ეროვნული ფასეულობების ურთიერთმიმართება.
- ბ) ეროვნულ და საკაცობრიო ისტორიათა შედარება-შეპირისირება.
- გ) ეროვნული და კუთხური ინტერესების ურთიერთმიმართება.
- დ) საკაცობრიო კულტურული ღირებულებების ზოგადი მიმოხილვა.

13. გაიხსენეთ ნ. ლორთქიფანიძის მოთხრობა „შელოცვა რადიოთი“.

რატომ არ შეიკრიბა ქაშვეთის ტაძარში ელის პანაშვიდზე ქალაქის ფართო საზოგადოება?

- ა) ბევრს აღიზიანებდა ელის მდიდრული ცხოვრება.
- ბ) იმ დღეს ქალაქში გადაულეებლად წვიმდა.
- გ) ყველას თავისი ლოდი აწვა გულზე.
- დ) ცოტა ვინმეს თულა ახსოვდა ელი.

14. ყურადღებით წაიკითხეთ სტრიქონები გალაკტიონ ტაბიძის ლექსიდან „მე და ღამე“:  
„მთვარით ნაფენს არემარე ვერ იცილებს ვერცხლის საბანს,  
სიო არხევს და ატოკებს ჩემს სარკმლის წინ იასამანს“.  
რას აღნიშნავს გადატანითი მნიშვნელობით „ვერცხლის საბანი“?

- ა) ვარსკვლავთა ნათებას.
- ბ) თოვლის საფარს.
- გ) იასამნის ყვავილობას.
- დ) მთვარის შუქს.

15. ყურადღებით წაიკითხე სტროფი ანა კალანდაძის ლექსიდან „მკვდართა მზე ვარ“:

„ლხენით ვისმენ ბელურების წივ-წივ, წივ-წივს...

ამოდინ, ბალახების სუნთქვა მესმის,

მაგრამ... მაინც გული რისად მეხურება?

ვარდის ტოტზე შერჩენილი ხმელი თესლი

აკენკეს და გაიტაცეს ბელურებმა“.

რა კითხვას სვამს ამ მონაკვეთში ლირიკული გმირი?

ა) რატომ არის სევდიანი.

ბ) რატომ ილხენს ბუნება.

გ) რას ამბობენ ბელურები.

დ) რას ჩურჩულებს ბალახი.



პასუხები: 1. დ) 2. ბ) 3. გ) 4. დ) 5. გ) 6. ბ) 7. ა) 8. დ) 9. ბ) 10. დ) 11. ბ) 12. ა) 13. გ) 14. დ) 15. ა)